გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება N 105

2024 წლის 12 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 12 მარტს (N19/2024072217-20) შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, მის საკუთრებაში არსებული მაღაზიის მიმდებარედ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.24.386 მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით გადაცემა თვითმომსახურების ტერმინალის, სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განთავსების მიზნით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2024 წლის 17 ივნისის N 211-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ს/კ 66.45.24.386 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, ჭავჭავაძის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 1500.00 (ათას ხუთასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ზემოთ აღნიშნული ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და იჯარის წლიური საფასურის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.24.386 მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, თვითმომსახურების ტერმინალის, სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განთავსების მიზნით, გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით:

2. ა) ს/კ 66.45.24.386 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, ჭავჭავაძის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 1500.00 (ათას ხუთასი) ლარით;

3.საწყისი წლიური საიჯარო ქირა ს/კ 66.45.24.386 მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ უძრავ ქონებაზე განისაზღვროს 360 (სამას სამოცი) ლარით.

4.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

5.აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები გაცემული იქნეს თვითმომსახურების ტერმინალების, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსების მიზნით. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის" მიერ საკუთარი ხარჯებით. ასევე, თვითმომსახურების ტერმინალების, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსების დროს დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები.

6.განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**